

## სპეციალური ცოდნის გამოყენების ფორმები სისხლისსამართალწარმოებაში

ირაკლი კობიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სისხლის სამართლის  
პროცესისა და კრიმინალისტიკის კათედრა

### ანოტაცია

ნაშრომში ავტორის მიერ სპეციალური იურიდიული ლიტერატურის ანალიზის საფუძველზე განხილულია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული სპეციალური ცოდნის გამოყენების ისეთი ფორმები, როგორცაა: სპეციალური ცოდნის გამოყენება უშუალოდ მომკვლევის, გამომძიებლის, პროკურორის ან მოსამართლის (სასამართლოს) მიერ, სპეციალისტის მოწვევა საგამომძიებო მოქმედებებში მონაწილეობის მისაღებად, სასამართლო ექსპერტიზის დანიშვნა, რევიზიისა და ინვენტარიზაციის ჩატარება. აღნიშნული საკითხის კვლევისას ავტორი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს სისხლისსამართალწარმოებაში სპეციალური ცოდნის გამოყენების ფორმების ურთიერთგამიჯვნის პრობლემაზე სპეციალური ცოდნის მქონე პირთა საპროცესო სტატუსის, სისხლის სამართლის პროცესში მათი მონაწილეობის სამართლებრივი ფორმისა და საქმიანობის შედეგების მიხედვით. აღნიშნული პრობლემის განხილვის შემდეგ ავტორი ნაშრომში აყენებს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში შესაბამისი ცვლილებების შეტანის აუცილებლობის საკითხს.<sup>E</sup>

### საკვანძო სიტყვები: სპეციალისტი, ექსპერტი, რევიზია, ინვენტარიზაცია

დანაშაულის გამოძიების პროცესში აუცილებელია განვასხვავოთ საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების დადგენის ორი ხერხი: 1) აღნიშნული გარემოებების უშუალო შესწავლა; 2) საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტებისა და მოვლენების ფარული თვისებებისა და ურთიერთკავშირის გამოკვლევა.

სპეციალური ცოდნის გამოყენება სისხლის სამართალწარმოებაში სწორედ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ისეთი გარემოებების დადგენას უკავშირდება, რომელთა შესწავლა და შეფასება შესაბამისი სპეციალური, მეცნიერული გამოკვლევის გარეშე შეუძლებელია. მაგალითად, შეუძლებელია გამომძიებელმა განსაზღვროს ბრალდებულის ფსიქიკური მდგომარეობა სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დანიშვნის გარეშე. პრაქტიკაში ასევე ხშირია ისეთი შემთხვევებიც, როდესაც კონკრეტული გარემოების დადგენა საერთოდ არ საჭიროებს სპეციალურ ცოდნას. მაგალითად ისეთი საგამომძიებო მოქმედებების ჩატარების დროს, როგორცაა ჩხრეკა, ამოღება, დაკითხვა, დაპირისპირება, გამომძიებელი უმეტეს შემთხვევაში უშუალოდ, სპეციალური ცოდნის მქონე პირთა დახმარების გარეშე ახდენს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ინფორმაციის მოპოვებას.

სპეციალური ცოდნის ქვეშ იგულისხმება ცოდნა, რომელიც სუბიექტის მიერ შეძენილია სპეციალური მომზადებისა და პროფესიული გამოცდილების მიღების გზით ამა თუ იმ დარგში პრაქტიკული საქმიანობის პროცესში [1, გვ. 398].

სპეციალური ცოდნის გამოყენების სხვადასხვა ფორმები არსებობს, კერძოდ:

1) სპეციალური ცოდნის გამოყენება უშუალოდ მომკვლევის, გამომძიებლის, პროკურორის ან მოსამართლის (სასამართლოს) მიერ, რომელიც იძიებს ან იხილავს სისხლის სამართლის საქმეს;

2) სპეციალისტის მოწვევა საგამომძიებლო მოქმედებებში მონაწილეობის მისაღებად;

3) სასამართლო ექსპერტიზის დანიშვნა.

4) რევიზიისა და ინვენტარიზაციის ჩატარება.

სისხლისსამართალწარმოებაში სპეციალური ცოდნის კონკრეტული ფორმით გამოყენება განპირობებულია საქმის გამოძიების ამა თუ იმ ეტაპზე წარმოშობილი კონკრეტული საგამომძიებლო სიტუაციის თავისებურებით. საგამომძიებლო სიტუაციის ქვეშ იგულისხმება სისხლის სამართლის საქმის გამოძიების გარკვეულ მომენტში შექმნილი მდგომარეობა, რომელიც უწინარეს ყოვლისა, განისაზღვრება გამომძიებლის გამგებლობაში არსებული მტკიცებულებითი ხასიათის ინფორმაციის მოცულობითა და ხასიათით, აგრეთვე კონკრეტულ გარემოებაში აღმოცენებული სხვა გარეშე ობიექტური და სუბიექტური ფაქტორებით [2, გვ 181].

დანაშაულის გამოძიების პროცესში წარმოშობილი საგამომძიებლო სიტუაციის სწორი შეფასება გამომძიებელს საშუალებას აძლევს მიზანმიმართულად შეარჩიოს სპეციალური ცოდნის გამოყენების ესა თუ ის ფორმა. საგამომძიებლო სიტუაციის შეფასება გულისხმობს დადგენილი გარემოებების ანალიზსა და დასადგენი გარემოებების განსაზღვრას, მათი დადგენის ხერხების შერჩევას.

უშუალოდ გამომძიებლის მიერ სპეციალური ცოდნის გამოყენებას მაშინ აქვს ადგილი, როდესაც სისხლის სამართლის საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოების დადგენა და შესწავლა არ მოითხოვს სპეციალური პროფესიის პირთა მოწვევას. ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ უშუალოდ გამომძიებლის მიერ სპეციალური ცოდნის გამოყენება უნდა ხორციელდებოდეს კანონის ფარგლებში და შეესაბამებოდეს სისხლის სამართლის პროცესის ამოცანებს.

უშუალოდ გამომძიებლის მიერ სპეციალური ცოდნის გამოყენება შეიძლება გამოვლინდეს შემდეგი სახით: 1) ტექნიკური საშუალებების გამოყენებით, რომლის მიზანია ჩადენილი დანაშაულის მატერიალურად ფიქსირებული ნიშნების აღმოჩენა, დამაგრება და შესწავლა; 2) სხვადასხვა საგამომძიებლო მოქმედებათა ჩატარების დროს ტაქტიკური ხერხების გამოყენებით [3, გვ. 41].

ტექნიკური საშუალებების ქვეშ იგულისხმება კრიმინალისტიკური ტექნიკის მიერ შემუშავებული ფოტოგრაფიული, ტექნიკური საშუალებები, გეგმებისა და სქემების შესადგენი საშუალებები, კვალთა აღმოჩენის, დამაგრებისა და ამოღების საშუალებები, სამებნი საშუალებები, რომელთაც გამომძიებელი ხშირად იყენებს ისეთი საგამომძიებლო მოქმედების ჩატარების დროს, როგორც არის დათვალიერება, ჩხრეკა, ამოღება, ნიმუშის აღება საექსპერტო კვლევისათვის.

ტაქტიკური ხერხების ქვეშ იგულისხმება კონკრეტული ხასიათის მოქმედება, რომელიც მიზნად ისახავს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე მტკიცებულებითი ხასიათის ინფორმაციის მიღებას. ტაქტიკური ხერხებიდან აღსანიშნავია დაკითხვის დროს გამომძიებლის მიერ ფსიქოლოგიური ცოდნის (უნარ-ჩვევების) გამოყენება დასაკითხისაგან ობიექტური ჩვენების მიღების მიზნით.

დაკითხვის დროს ხშირად წარმოიშობა ისეთი პრობლემური სიტუაცია, როდესაც დასაკითხ პიროვნებას სწორად აქვს აღქმული სისხლის სამართლის საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტები და მოვლენები, მაგრამ მათი გადმოცემა (რეპროდუქცია) გარკვეული მიზეზების გამო უჭირს, ან პირიქით - ობიექტური გარემოებები არასწორადაა აღქმული და მათი გადმოცემა არ იქნება რეალური. ხშირია ისეთი

შემთხვევებიც, როდესაც დასაკითხს არ სურს გამოძიებას მისცეს ობიექტური ჩვენება. კრიმინალისტიკური ლიტერატურა რეკომენდაციას აძლევს გამომძიებელს დაკითხვის დროს დასაკითხის მეხსიერების აღსადგენად გამოიყენოს ისეთი ტაქტიკურ-ფსიქოლოგიური ხერხები, როგორცაა დასაკითხის შემთხვევის ადგილზე გაყვანა, სუბიექტური ფოტოპორტრეტის შექმნა, დაკითხვის დროს საქმეზე მოპოვებული მტკიცებულებების წარდგენა და სხვ [4, გვ.8]. აღნიშნული სახით სპეციალური ცოდნის გამოყენებით გამომძიებელი გარკვეულ ფსიქოლოგიურ ზემოქმედებას ახდენს მოწმეზე, დაზარალებულზე, ბრალდებულზე მისგან სწორი ჩვენების მიღების მიზნით.

სპეციალისტის მოწვევა სისხლისსამართალწარმოებაში სპეციალური ცოდნის გამოყენების ერთ-ერთ ფართოდ გავრცელებულ ფორმას წარმოადგენს. სპეციალისტი საჭირო დახმარებას უწევს მომკვლევს, გამომძიებელს, პროკურორსა და მოსამართლეს მტკიცებულებათა აღმოჩენაში, დამაგრებასა და დემონსტრირებაში. სპეციალისტად შეიძლება გამოიძახონ კრიმინალისტი, ექიმი, ფსიქოლოგი, პედაგოგი და სხვა პირები, რომლებთაც აქვთ საჭირო ცოდნა და ჩვევები (საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 98-ე მუხლი).

სპეციალისტის მონაწილეობა საგამომძიებო მოქმედებებში გულისხმობს 1. კრიმინალისტიკური ხასიათის დახმარების აღმოჩენას, 2. მეთოდური ხასიათის დახმარების აღმოჩენას, 3. კონსულტაციების, ცნობებისა და რჩევების მიცემას, 4. ტექნიკური ხასიათის დახმარების აღმოჩენას [5. გვ. 32-33].

სისხლისსამართალწარმოებაში ამა თუ იმ დარგის სპეციალისტის მონაწილეობა კონკრეტულ საგამომძიებო სიტუაციაზეა დამოკიდებული. მაგალითად, შემთხვევის ადგილის დათვალიერების დროს სპეციალისტის სახით გამომძიებლის მიერ მოიწვევა კრიმინალისტი, რომლის ამოცანას კვალთა და სხვა ნივთიერ მტკიცებულებათა აღმოჩენა, კვალისა და დაზიანების წარმოქმნის მექანიზმის ახსნა, მტკიცებულებათა დამაგრება წარმოადგენს; მაშინ, როდესაც ფსიქოლოგი სპეციალური უნარ-ჩვევების გამოყენებით დახმარებას უწევს გამომძიებელს დასაკითხისაგან სწორი ჩვენება მიიღოს; სპეციალისტის სახით მოწვეული ოპერატორი ახდენს საგნის, ადგილმდებარეობის გადაღებას და სხვ.

როგორც ჩანს, საგამომძიებო მოქმედებაში მონაწილეობის მისაღებად სპეციალისტის მოწვევა ფაქულტატურ ხასიათს ატარებს და აღნიშნული საკითხი გამომძიებლის მიერ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შეიძლება სხვადასხვანაირად გადაწყდეს, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როდესაც საპროცესო კანონი ამას სავალდებულოდ მიიჩნევს: თარჯიმნის გამოძახება (სსსკ. მე-100 მუხლი), არასრულწლოვნის დაკითხვაში პედაგოგის მონაწილეობა (სსსკ. 306-ე მუხლი), სპეციალისტის მონაწილეობა ყურ-მუნჯი და მძიმედ დაავადებული მოწმის დაკითხვის დროს (სსსკ. 307-ე მუხლი), ექიმის მიერ შემოწმების ჩატარება, რაც დაკავშირებულია სხეულის გაშიშვლებასთან ან ადამიანის სხეულზე ძალადობის კვალის გამოვლენასთან, ასევე ინსტრუმენტული კვლევის მეთოდებით ალკოჰოლური, ნარკოტიკული, ტოქსიკური სიმთვრალის ან სხვა ფიზიოლოგიური მდგომარეობის გამოვლენისას, თუ ამისათვის ექსპერტიზა საჭირო არ არის (სსსკ. 354-ე მუხლი), გვამის დათვალიერების დროს ექიმის მინაწილეობა (სსსკ. 336-ე მუხლი), ექიმის მიერ ნიმუშის აღება საექსპერტო კვლევისათვის, თუ ნიმუშის აღება დაკავშირებულია ადამიანის სხეულის გაშიშვლებასთან (სსსკ. 376-ე მუხლი), გვამის ექსპერტიზის დროს ექსპერტის მონაწილეობა (სსსკ. 387-ე მუხლი).

სამართალწარმოებაში სპეციალური ცოდნის გამოყენების ძირითად ფორმას წარმოადგენს სასამართლო-ექსპერტიზის დანიშვნა. საქართველოს სისხლის

სამართლის საპროცესო კოდექსის 356-ე მუხლის თანახმად ექსპერტიზა ტარდება მომკვლევის, გამომძიებლის ან პროკურორის დადგენილებით, თუ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივ გარემოებათა დასადგენად საჭიროა მეცნიერების, ტექნიკის, ხელოვნების სათანადო დარგის ან ამა თუ იმ ხელობის სპეციალისტთა დასკვნა.

როგორც ჩანს, სპეციალისტისა და ექსპერტის ფუნქციებს შორის, მათი საპროცესო სტატუსიდან გამომდინარე, არსებითი განსხვავებაა, კერძოდ: სპეციალისტი გამომძიებლის მიერ ჩატარებული საგამომძიებო მოქმედების მონაწილეა და “არ სარგებლობს ავტონომიით” [6 გვ. 15], როცა ექსპერტი ექსპერტიზის დამნიშნავი პირისაგან დამოუკიდებლად აწარმოებს საექსპერტო კვლევას, რომლის დროსაც იყენებს სხვადასხვა სამეცნიერო კვლევის მეთოდს. განსხვავდება აგრეთვე სპეციალისტისა და ექსპერტის სისხლის სამართლის პროცესში მონაწილეობის ფორმებიც. სპეციალისტის საგამომძიებო მოქმედებაში მინაწილეობა საგამომძიებო მოქმედების ჩატარების ოქმში აისახება, ხოლო სასამართლო-ექსპერტიზის დანიშვნის დროს მომკვლევის, პროკურორის, გამომძიებლის, მოსამართლის მიერ აუცილებლად დადგენილება (სასამართლოს მიერ განჩინება) უნდა იქნეს გამოტანილი (ამ თვალსაზრისით გამონაკლისს წარმოადგენს თარჯიმანი, რომელსაც გამომძიებელი ასევე დადგენილებით იძახებს). სპეციალისტი შეიძლება მოწვეულ იქნას სისხლის სამართლის საქმის აღძვრამდეც ისეთ საგამომძიებო მოქმედებაში მონაწილეობის მისაღებად, როგორცაა დათვალიერება, ჩხრეკა, ამოღება, ხოლო ექსპერტიზა აუცილებლად აღძრულ სისხლის სამართლის საქმეზე ინიშნება. არსებითი განსხვავებაა აგრეთვე საქმეში სპეციალისტისა და ექსპერტის საქმიანობის შედეგებს შორის. სპეციალისტის საგამომძიებო მოქმედებაში მონაწილეობა კონსულტაციურ ხასიათს ატარებს და გამომძიებელს უადვილებს მის ჩატარებას, ექსპერტი კი მის მიერ ჩატარებული გამოკვლევის შედეგებს წერილობით დოკუმენტში - ექსპერტის დასკვნაში ასახავს, რომელიც მტკიცებულების დამოუკიდებელ წყაროს წარმოადგენს.

სასამართლო-ექსპერტიზის დანიშვნა საქმის გამოძიების განსაზღვრულ ეტაპზე შექმნილ საგამომძიებო სიტუაციაზეა დამოკიდებული და გამომძიებელი მას საქმის კონკრეტული გარემოებებისა და თვით ექსპერტიზის შესაძლებლობების გათვალისწინებით მიმართავს. მაგალითად, შემთხვევის ადგილის დათვალიერების დროს ლატენტური ხელის თითის კვლების აღმოჩენა ხდება უშუალოდ გამომძიებლის მიერ ან მოწვეული სპეციალისტის დახმარებით შესაბამისი ტექნიკური საშუალებების გამოყენებით, ხოლო ამოღებული ხელის თითის კვლების მეშვეობით პიროვნების იდენტიფიკაციისათვის აუცილებელია სასამართლო-დაქტილოსკოპიური ექსპერტიზის დანიშვნა; შემთხვევის ადგილიდან ამოღებული გასროლილი ტყვიის მასრების მეშვეობით ცეცხლსასროლი იარაღის იდენტიფიკაციისათვის საჭიროა სასამართლო-ბალისტიკური ექსპერტიზის დანიშვნა და ა.შ.

როგორც ირკვევა, ექსპერტიზის დანიშვნა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაზეა დამოკიდებული და საქმისათვის მნიშვნელობის მქონე დასადგენი გარემოებების თავისებურებითაა განპირობებული, მაგრამ ამავე დროს საპროცესო კანონმდებლობა განსაზღვრავს ექსპერტიზის დანიშვნის სავალდებულო შემთხვევებს, კერძოდ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 358-ე მუხლის თანახმად, ექსპერტიზის დანიშვნა სავალდებულოა იმ შემთხვევაში, თუ უნდა დადგინდეს: ა) სიკვდილის მიზეზი, სხეულის დაზიანების ხასიათი და სიმძიმის ხარისხი; ბ) იყო თუ არა ორსულობა და მისი ხელოვნურად შეწყვეტის მიზეზი; გ) ეჭვმიტანილის, ბრალდებულის, დაზარალებულის, მოწმის ასაკი, როცა ასაკის შესახებ დოკუმენტი არ

არსებობს ან ის საექვოა; დ) ექვმიტანილის ბრალდებულის ფსიქიკური მდგომარეობა, როდესაც ექვს შეიტანენ მათ შერაცხაობაში ან იმაში, საქმის წარმოების მომენტისათვის რამდენად შესწევთ უნარი ანგარიში გაუწიონ თავიანთ მოქმედებებს და უხელმძღვანელონ მათ; ე) პირის იდენტიფიკაცია ხმის მიხედვით; ვ) დაზარალებულის ან მოწმის ფსიქიკური და ფიზიკური მდგომარეობა, მისი უნარი, სწორად აღიქვამდეს, იხსომებდეს და აღადგენდეს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტებს; ზ) ფულადი ნიშნებისა და სხვა ფასიანი ქვალდების გაყალბება; თ) აფეთქების, ხანძრის, კატასტროფისა და სხვა საგანგებო შემთხვევის გამომწვევი ტექნიკური მიზეზი.

არასწორად მიგვაჩნია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიერ საგამოძიებო მოქმედებებში მონაწილეობის მისაღებად სპეციალისტთან ერთად ექსპერტის მოწვევის რეგლამენტაცია. კანონის 334-ე მუხლის I ნაწილი ადგენს, რომ “დათვალეირებაში მონაწილეობისათვის შეიძლება მოიწვიონ სპეციალისტი და ექსპერტი;” 336-ე მუხლი განსაზღვრავს გვამის დათვალეირებაში სასამართლო ექსპერტის მონაწილეობას, 387-ე მუხლის თანახმად, გვამის ეგზუმაციაში მონაწილეობს სასამართლო ექსპერტი.

ექსპერტის მონაწილეობა ამა თუ იმ საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაში შეუძლებელია, ვინაიდან იგი, სპეციალისტისაგან განსხვავებით, საქმეზე ინიშნება სპეციალური გამოკვლევის ჩასატარებლად და საჭირო გარემოებათა შესახებ წერილობითი დასკვნის შესადგენად, რომელსაც მტკიცებულების მნიშვნელობა აქვს, როცა სპეციალისტი საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილეობის დროს არავითარ სპეციალურ გამოკვლევას არ ატარებს და მისი ამოცანაა საგამოძიებო მოქმედების ჩამტარებელი პირისათვის საჭირო დახმარების აღმოჩენა. ეს ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს საექსპერტო დაწესებულებაში მომუშავე ან საექსპერტო ლიცენზიის მქონე პირი არ დაიშვება სპეციალისტის სახით საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილეობის მისაღებად, მაგრამ ამ შემთხვევაში იგი სისხლისსამართალწარმოებაში მხოლოდ სპეციალისტის საპროცესო სტატუსს შეიძენს და არა ექსპერტის.

აქედან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ კანონის ტექსტი უნდა შესწორდეს და საგამოძიებო მოქმედებებში “ექსპერტის მონაწილეობა” და მონაწილეობის მისაღებად “ექსპერტის მოწვევა” კანონის ტექსტიდან ამოღებული უნდა იქნეს.

აღნიშნული შემთხვევებიდან უნდა განვასხვავოთ ექსპერტის უფლება მომკვლევის, გამომძიებლის, პროკურორის, მოსამართლის ან სასამართლოს ნებართვით დაესწროს საგამოძიებო მოქმედების ჩატარებას და დასაკითხ პირებს დაუსვას შეკითხვები, რომელიც ექსპერტიზის საგანს განეკუთვნება (სსსკ. 97-ე მუხლის “დ” პუნქტი), სასამართლო სხდომაში მინაწილეობა მიიღოს ექსპერტიზის საგანს მიკუთვნებულ მტკიცებულებათა კვლევაში და სასამართლოს ნებართვით შეკითხვები დაუსვას დასაკითხ პირებს, გამოკვლევის პროცესში ექსპერტის მიერ საცდელი ნიმუშის აღება (სსსკ. 384-ე მუხლი). ამ შემთხვევებში ექსპერტი თავის საპროცესო სტატუსს ინარჩუნებს და მისი საქმიანობა კონკრეტული საგამოძიებო თუ სასამართლო მოქმედების დამთავრების შემდეგაც გრძელდება - იგი ატარებს სპეციალურ გამოკვლევას და ადგენს დასკვნას, რომელიც მტკიცებულების სახით დაერთვის საქმეს, ხოლო სპეციალისტი თავისი ფუნქციების განხორციელებას საგამოძიებო მოქმედების დამთავრებისთანავე წყვეტს.

რევიზიისა და ინვენტარიზაციის ჩატარება სისხლისსამართალწარმოებაში სპეციალური ცოდნის გამოყენების სპეციფიკური ფორმაა, რომელიც უმეტესწილად გამოიყენება საფინანსო სფეროში ჩადენილ დანაშაულებსა და სამოხელეო დანაშაულებზე საქმეთა საგამოძიების დროს.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის “ი” პუნქტი გამომძიებელს უფლებას ანიჭებს საჭიროების შემთხვევაში მოითხოვოს რევიზიის, ინვენტარიზაციის, საუწყებო შემოწმების ჩატარება და გამოძიებისათვის საჭირო დოკუმენტების წარდგენა.

რევიზია იურიდიულ ლიტერატურაში განსაზღვრულია, როგორც საქმეზე მტკიცებულებათა შეკრების საშუალება, რომელიც გამოიხატება, რევიზორის მეშვეობით დაწესებულების ან საწარმოს სამეურნეო და საფინანსო საქმიანობის შემოწმებაში [7. გვ. 90]. რევიზია გულისხმობს იმ დოკუმენტების შემოწმებას, რომელიც ასახავს საწარმოს ან დაწესებულების მიერ ფინანსური სახსრების მოზიდვას, გადანაწილებასა და დახარჯვას; საწარმოს ან დაწესებულების ანგარიშსწორებას კრედიტორებთან, საგადასახადო ინსპექციის ორგანოებთან, მიღებული კრედიტებისა და გრანტების მიზნობრივ გამოყენებას, სხვადასხვა სახის ინვენტარის შექმნას, პასუხისმგებელ პირთა უფლება-მოვალეობებს, სხვა სახის საფინანსო ოპერაციებს. რევიზიის სპეციფიკური თავისებურებიდან გამომდინარე, მის ჩასატარებლად მოიწვევა სპეციალური ცოდნის მქონე პირი - რევიზორი, რომელსაც გააჩნია სპეციალური ცოდნა, უნარ-ჩვევები და გამოცდილება საბუღალტრო აღრიცხვის დარგში.

რევიზიის პრაქტიკული მნიშვნელობა იმაში გამოიხატება, რომ განსაზღვრული საწარმოსა თუ დაწესებულების საქმიანობის ამსახველი დოკუმენტაციის დეტალური ანალიზი საშუალებას აძლევს გამომძიებელს დაადგინოს სხვადასხვა დანაშაულებრივი ქმედების ნიშნები. მაგალითად, კერძო სექტორის ორგანიზაციებში ჩატარებული რევიზიის მეშვეობით გამომძიებელმა შეიძლება გამოავლინოს ისეთი დანაშაულებრივი ქმედების ნიშნები, როგორცაა თაღლითობა, მითვისება ან გაფლანგვა, გადასახადისათვის თავის არიდება, ცრუ მეწარმეობა, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია, კრედიტის უკანონოდ მიღება და სხვ.; ხოლო საბიუჯეტო დაწესებულებებში მიუთითებდეს სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების, სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების, სამსახურებრივი სიყალბის და სხვ. დანაშაულებრივი შემადგენლობის ნიშნების არსებობაზე.

რევიზიის ჩატარებით დგინდება ასევე სასამართლო-საბუღალტრო ექსპერტიზის მიერ გადასაწყვეტ საკითხთა წრე, რომლებსაც მიეკუთვნება: 1) კონკრეტული საწარმოსა თუ დაწესებულებაში საბუღალტრო აღრიცხვის თავისებურება, მისი შესაბამისობა მოქმედ ნორმატიულ აქტებთან; 2) საბუღალტრო ოპერაციების შესწავლა-გამოკვლევა სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა, ფულადი სახსრების ნაკლებობის გამოვლენის, მისი წარმოშობის პერიოდისა და მატერიული ზიანის დადგენის მიზნით; 3) სამართალდარღვევათა გამოწვევი მიზეზებისა და ხელშემწყობი პირობების დადგენა და მათი აღმოფხვრისათვის რეკომენდაციების შემუშავება; 4) საბუღალტრო ოპერაციების შესწავლა-გამოკვლევა სისხლის სამართლის საქმის იმ გარემოებათა შემოწმების მიზნით, რომლებიც დგინდება სხვა საგამომძიებო მოქმედებების ჩატარების შედეგად (ბრალდებულის, დაზარალებულის, მოწმის ჩვენებები) [8. გვ. 72].

რევიზია უნდა განვასხვავოთ სისხლისსამართალწარმოებაში სპეციალისტის მონაწილეობისაგან უპირველესყოფლისა იმით, რომ რევიზიის დანიშვნისა და ჩატარების საპროცესო წესი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით განსაზღვრული არ არის (სპეციალური ცოდნის გამოყენების არასაპროცესო ფორმა), მაშინ როდესაც სპეციალისტის კომპეტენცია, მისი მოწვევის წესი, სპეციალისტის უფლება-მოვალეობები და მისი მოწვევის სავალდებულო შემთხვევები საპროცესო კანონითაა რეგლამენტირებული (სპეციალური ცოდნის გამოყენების საპროცესო ფორმა). რევიზიასა და სპეციალისტის მოწვევას შორის არსებითი განსხვავებაა აგრეთვე

ისიც, რომ საგამომიებო მოქმედებაში სპეციალისტის მონაწილეობა მხოლოდ-და-მხოლოდ საგამომიებო მოქმედების ოქმში აისახება, ხოლო რევიზიის ჩატარების შედეგები კი წერილობით დოკუმენტში - რევიზიის აქტში პოვებს გამოხატულებას.

რევიზია ასევე განსხვავდება სასამართლო-საბუღალტრო ექსპერტიზისაგან. რევიზია ინიშნება გამომიებლის მიმართვის საფუძველზე შესაბამისი საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ხელმძღვანელ პირთა მითითებით, როცა სასამართლო-საბუღალტრო ექსპერტიზა სისხლის სამართლის საქმეზე ინიშნება მომკვლევის, გამომიებლის, პროკურორის, მოსამართლის დადგენილებით (სასამართლოს განჩინებით). განსხვავებაა აგრეთვე რევიზორისა და ექსპერტის კომპეტენციას შორის. რევიზორს უფლება აქვს შეამოწმოს კონკრეტული ორგანიზაციის სამეურნეო და საფინანსო ოპერაციების ამსახველი მთლიანი დოკუმენტაცია, ხოლო ექსპერტ-ბუღალტერი ექსპერტიზის ჩატარების დროს იკვლევს მხოლოდ იმ მასალებს, რომელიც მას გამოსაკვლევად წარუდგინა გამომიებელმა. არსებითად განსხვავდება რევიზორისა და ექსპერტ-ბუღალტერის საქმიანობის შედეგებიც სისხლის სამართალწარმოებაში. რევიზიის შედეგები, როგორც უკვე აღინიშნა, რევიზიის აქტში აისახება, რომელიც საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებების დადგენის საშუალებას წარმოადგენს. საპროცესო კანონმდებლობა არ მიიჩნევს რევიზიის მასალებს მტკიცებულების განსაკუთრებულ სახედ, თავისი შინაარსით მას დოკუმენტის საპროცესო მნიშვნელობა გააჩნია, რომელიც საპროცესო კოდექსის თანახმად მტკიცებულებად დაიშვება, ხოლო სასამართლო-საბუღალტრო ექსპერტიზის დასკვნა მტკიცებულების დამოუკიდებელ წყაროს წარმოადგენს.

რევიზიისაგან უნდა განვასხვავოთ სისხლისსამართალწარმოებაში სპეციალური ცოდნის გამოყენების ისეთი არასაპროცესო ფორმა, როგორც არის ინვენტარიზაცია. თუ კი რევიზია გულისხმობს დაწესებულების, საწარმოს, ორგანიზაციის საფინანსო და სამეურნეო საქმიანობის ამსახველი დოკუმენტაციის შემოწმებას, მაშინ ინვენტარიზაცია წარმოადგენს ორგანიზაციის, საწარმოს ან დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური საშუალებებისა და ფულადი სახსრების ფაქტობრივ და არა დოკუმენტალურ აღწერას. ინვენტარიზაციის ამოცანაა ორგანიზაციის გამგებლობაში ფაქტობრივად არსებული მატერიალური ფასეულობების თვისობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლების შესაბამისობის დადგენა ორგანიზაციის დოკუმენტებში მოცემულ მაჩვენებლებთან. უმრავლეს შემთხვევებში ინვენტარიზაცია დოკუმენტალური რევიზიის პარალელურად ტარდება, თუმცა არ არის გამორიცხული გამომიებლის მოთხოვნით ინვენტარიზაცია რევიზიისაგან დამოუკიდებლად ჩატარდეს.

ინვენტარიზაციის შედეგები აისახება წერილობით დოკუმენტში, რომელსაც ინვენტარიზაციის აქტი ეწოდება და რევიზიის აქტის მსგავსად სისხლისსამართალწარმოებაში დოკუმენტის მნიშვნელობას იძენს. რევიზიის მსგავსად ინვენტარიზაციის მიზანია სისხლის სამართლის საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებების დადგენა და შემოწმება. ინვენტარიზაციის, ისევე როგორც რევიზიის, ჩატარების წესი საპროცესო კანონმდებლობით განსაზღვრული არ არის.

რევიზია და ინვენტარიზაცია ერთმანეთისაგან განსხვავდება მხოლოდ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების დადგენის მეთოდით - რევიზია გულისხმობს ორგანიზაციის საფინანსო და სამეურნეო ოპერაციების ამსახველი დოკუმენტების შემოწმებას, ხოლო ინვენტარიზაცია ორგანიზაციის გამგებლობაში არსებული მატერიალური ფასეულობების ფაქტობრივ აღწერას (ტექნიკური საშუალებების, სამეურნეო პროდუქტების ხარისხისა და რაოდენობის დადგენა მათი

უშუალო დათვალიერებით, სალაროებში არსებული ფულადი თანხის რაოდენობის დადგენა გადათვლის მეშვეობით და სხვ.).

საუწყებო შემოწმება (ე.წ. “საუწყებო გამოძიება”) წარმოებს შესაბამისი უწყებების სპეციალისტების მიერ და ხშირად საგამომიებო მოქმედებების პარალელურად (მაგალითად, ხანძრის, საგზაო შემთხვევის მიზეზების გამოკვლევა, როგორც წესი, წარმოებს შესაბამისი უწყებების სპეციალისტების მიერ).[9. გვ. 19].

საუწყებო შემოწმება, ისევე როგორც, რევიზია და ინვენტარიზაცია, სისხლისსამართალწარმოებაში სპეციალური ცოდნის გამოყენების არასაპროცესო ფორმებს მიეკუთვნება. საუწყებო შემოწმებას ატარებს სპეციალური ცოდნის მქონე პირი და მისი საქმიანობის საბოლოო შედეგს წერილობითი საბუთი – საუწყებო შემოწმების აქტი წარმოადგენს, რომელსაც რევიზიისა და ინვენტარიზაციის აქტის მსგავსად, დოკუმენტის საპროცესო მნიშვნელობა გააჩნია. საუწყებო შემოწმება შეიძლება ჩატარდეს, როგორც სისხლის სამართლის საქმის აღძვრამდე, ასევე სისხლის სამართლის საქმის აღძვრის შემდეგ და იგი კონკრეტული სისხლის სამართლის საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების დადგენის ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენს.

ძირითადი სხვაობა საუწყებო შემოწმებასა და რევიზიას (ინვენტარიზაციას) შორის ის არის, რომ საუწყებო შემოწმება გულისხმობს კონკრეტული დარგობრივი საქმიანობის (მშენებლობის, წარმოების, გადაზიდვის და ა.შ.) მიმდინარეობის შემოწმებას, კონკრეტული სახის საქმიანობის პროცესში არსებული უბედური შემთხვევების (ავიაკატასტროფების, ავტოსაგზაო შემთხვევების, მოწამვლის და ა.შ.) მიზეზების გამოკვლევას; ხოლო რევიზია (ინვენტარიზაცია), როგორც უკვე აღინიშნა, კონკრეტული საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის საფინანსო და სამეურნეო საქმიანობის შემოწმებას წარმოადგენს.

ამრიგად, სისხლისსამართალწარმოებაში სპეციალური ცოდნის გამოყენების ამა თუ იმ ფორმის შინაარსი განისაზღვრება კონკრეტული მიზნებისა და საშუალებების არსებობით, რაც განაპირობებს სისხლის სამართლის საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების დადგენას. სწორედ ამ ნიშნების ერთობლიობა უდევს საფუძვლად სპეციალური ცოდნის გამოყენების ფორმების კლასიფიკაციას, რომელსაც უაღრესად დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. [10. გვ. 72]

მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ყურადღება გავამახვილოთ აგრეთვე ზოგიერთი დასავლეთ ევროპის ქვეყნის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში სამართალწარმოებაში სპეციალური ცოდნის გამოყენების რეგლამენტაციის ძირითად ასპექტებზე.

საფრანგეთის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 156-ე მუხლის თანახმად, ექსპერტის დასკვნა წარმოადგენს მტკიცებულებას, როგორც ექსპერტიზის შედეგს, რომელიც ტარდება “ტექნიკური ხასიათის საკითხის გადასაწყვეტად.” აღნიშნული სახის მტკიცებულება შეიძლება მოპოვებული იქნეს მხოლოდ წინასწარი გამოძიებისა და სასამართლოში საქმის განხილვის დროს; ხოლო მოკვლევის სტადიაზე სპეციალური ცოდნის გამოყენება ხდება ე.წ. “კონსტატაციის, აგრეთვე ტექნიკური და სამეცნიერო გამოკვლევების ფორმით,” რომლის ჩასატარებლადაც სასამართლო პოლიციის ოფიცერს უფლება აქვს მოიწვიოს “მცოდნე პირი” (საფრანგეთის სსსკ. 60, 77-1 მუხ.). [11. გვ. 322]

როგორც ჩანს, საფრანგეთის საპროცესო კანონმდებლობა ერთმანეთისაგან განასხვავებს სპეციალური ცოდნის გამოყენების შემდეგ ფორმებს: 1. ექსპერტიზის დანიშვნას წინასწარი გამოძიებისა და საქმის სასამართლოში განხილვის დროს, 2.



მოკვლევის სტადიაზე “მცოდნე პირის” მოწვევას სპეციალური საკითხების გადასაწყვეტად.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა ექსპერტიზასთან დაკავშირებული საკითხების რეგულირებას ახდენს “მეცნიერული დებულებების” თეორიის საფუძველზე, რომელიც შემუშავებული იქნა გერმანელი პროცესუალისტების ფ. შტეინის, ა. ჰეგლერისა და ე. მეცგერის მიერ XIX და XX საუკუნეების მიჯნაზე. ამ “მეცნიერული დებულებების” თეორიის მიხედვით, სასამართლოს დავალების შესაბამისად ექსპერტი ახორციელებს შემდეგ ფუნქციებს: 1. წარუდგენს სასამართლოს “მეცნიერულ დებულებებს,” 2. შეაფასებს კონკრეტულ ფაქტებს “მეცნიერული დებულებების საფუძველზე,” 3. აცნობს სასამართლოს ფაქტების შესახებ, რომლებიც დადგენილი იქნა სპეციალური ცოდნის გამოყენებით.

“მეცნიერული დებულების” ქვეშ იგულისხმება ზოგადი აბსტრაქტული დებულებები შემეცნების სხვადასხვა სფეროში, რომელიც შემუშავდება თვით ექსპერტის მიერ, ატარებს სუბიექტურ ხასიათს და დაფუძნებულია ვარაუდზე, მოსაზრებაზე.

გერ-ის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის § 75 თანახმად, ექსპერტი იძლევა დასკვნას საკითხებზე მეცნიერების, ხელოვნების ან ხელობის დარგში.

ამრიგად, გერმანული საპროცესო კანონმდებლობა იცნობს სპეციალური ცოდნის გამოყენების ისეთ ფორმას, როგორცაა ექსპერტიზა, მაგრამ ერთმანეთისაგან განასხვავებს სპეციალური ცოდნის გამოყენებას დამოუკიდებელი ექსპერტის დანიშვნის ან საკუთრივ სასამართლოს მიერ სპეციალური ცოდნის გამოყენების სახით, თუ მას სპეციალური ცოდნა გააჩნია. სსსკ-ის § 244 თანახმად ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ შუამდგომლობა შეიძლება არ დაკმაყოფილდეს, იმ შემთხვევაში თუ სასამართლოს საკუთრივ გააჩნია აუცილებელი სპეციალური ცოდნა. ვფიქრობთ, აღნიშნული ნორმა გერ-ის საპროცესო კანონმდებლობის არსებით ნაკლოვანებას წარმოადგენს.

გერ-ის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, ექსპერტიზის სავალდებულო დანიშვნის შემთხვევებია: ბრალდებულის ფსიქიკური მდგომარეობის გამოსაკვლევა (§ 81), სიკვდილის მიზეზების დასადგენად (§ 87), მოწამლის ეჭვის არსებობისას (§ 91), ფულის ნიშნებისა და სხვა ფასიანი ქაღალდების გაყალბების ფაქტის დასადგენად (§ 92). [11. გვ. 428-429]

მეტად საინტერესო დებულებებს შეიცავს იტალიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსიც, რომელიც ერთმანეთისაგან განასხვავებს ექსპერტისა და ტექნიკური კონსულტანტების საპროცესო სტატუსს. კერძოდ, იტალიის სსსკ 225-ე მუხლის თანახმად, თუ ექსპერტიზა დაინიშნა პროკურატურის ინიციატივით, კერძო მხარე უფლებამოსილია დანიშნოს თავისი ტექნიკური კონსულტანტი. აღნიშნული კონსულტანტების რიცხვი არ უნდა აღემატებოდეს ექსპერტების რიცხვს. ტექნიკურ კონსულტანტს უფლება აქვს დაესწროს სასამართლოს მიერ ექსპერტისათვის დავალების მიცემას, წარმოადგინოს შუამდგომლობები და შენიშვნები, რომელიც ოქმში შეიტანება. ის უფლებამოსილია აგრეთვე დაესწროს ყველა ტექნიკურ პროცედურას (საექსპერტო გამოკვლევის პროცესს) და ჩამოაყალიბოს შენიშვნები, რომელიც ექსპერტის დასკვნაში აღინიშნება.

თუ ტექნიკური კონსულტანტი მოწვეული იქნა არა ექსპერტიზის დანიშვნასთან დაკავშირებით, რაც დაშვებულია, ასეთ შემთხვევაში მისი მოსაზრება წარედგინება უშუალოდ სასამართლოს (სსსკ. 233-ე მუხლი). [9. გვ. 87] ამავე დროს ტექნიკურ კონსულტანტებს ევალებათ დაიცვან პროფესიული საიდუმლოება. [12. გვ 269]

ამრიგად, იტალიის საპროცესო კანონმდებლობა ერთმანეთისაგან განასხვავებს სპეციალური ცოდნის გამოყენების ისეთ ფორმებს, როგორცაა: ექსპერტის დანიშვნა და ტექნიკური კონსულტანტის დანიშვნა.

---

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. Криминалистика. Учебник для вузов. под. ред. Р.С. Белкина, М., 2002
2. კრიმინალისტიკა, II ტომი, რედ. ა. ფალიაშვილი, მ. ქურდაძე, თბილისი 1995
3. Лисиченко В. К. Использование данных естественных и технических наук в следственной и судебной практике. Киев, 1979
4. Сорокотягин И.Н., Применение специальных познаний с целью разрешения сложных следственных ситуаций. «Применение экспертизы и других форм специальных познаний в советском судопроизводстве» Межвузовский сборник научных трудов, Свердловск, 1984
5. В.Н. Хрусталёв, Р. Ю. Трубицин. Участие специалиста-криминалиста в следственных действиях. Учебное пособие. С-Петербург, 2003
6. Палиашвили А. Я. Процессуальное положение специалиста в уголовном процессе «Советская Юстиция», 1964 № 5
7. Смирнов Д. В., Танасевич. В Г Основы бухгалтерского учёта и судебно-бухгалтерской экспертизы. Л., 1964
8. Ромашов А. М. Судебно-бухгалтерская экспертиза. «Библиотека следователя» М., 1981
9. სასამართლო ექსპერტიზა სამართალწარმოებაში, რედ. ვ. ჯაოშვილი, თბილისი 2003
10. Махов В. Н. Использование знаний сведущих лиц при расследований преступлений М, 2000
11. Гуценко К. Ф., Головки Л. В., Филимонов Б. А. Уголовный процесс западных государств, М, 2002
12. ევროგაერთიანების ქვეყნების სისხლის სამართლის საპროცესო სისტემები, მეცნ. რედ. ნ. გვენეტაძე, თბილისი, 2002

---

სტატია მიღებულია: 2004-04-06